გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023-2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   აქტივებისა და ვალდებულებების მართვა

2. **თემატიკა:**
   საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშვალდებულების (PEFA) კარგი პრაქტიკა.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეული იმერეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი. არსებული მონაცემებით, ისტორიულ წყაროებში სახელწოდება ბაღდათი პირველად XVII საუკუნის I ნახევარში იხსენიება, თუმცა არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ დასახლება აქ უკვე შუა ფეოდალურ ხანაში ყოფილა. სახელწოდება ბაღდათი ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ძველი სპარსული ენიდან მომდინარეობს. მისი სწორი ფორმა ბაღდადია. ამ ვერსიის თანახმად იგი ღმერთისაგან ნაბოძებს ნიშნავს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1930 წლამდე შედიოდა ქუთაისის მაზრაში, 1930 წელს გამოიყო ცალკე რაიონად. 1940-1990 წლებში ერქვა მაიაკოვსკის რაიონი. მუნიციპალიტეტში სულ 25 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 24 სოფელი. დასახლებული პუნქტები გაერთიანებულია 13 ტერიტორიულ ერთეულში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში არის 18,4 ათასი მოსახლე. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია - 220 კმ-ით-(3 სთ და 30 წუთის სავალი დროით), იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქი ქუთაისიდან 25 კმ-ით(0,5 საათი სავალი დროით) , ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით(37 წუთი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით (19 წუთი დროით).ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე შეადგენს 159 კმ-ს, რომლის 70 %-იც კაპიტალურადაა შეკეთებული. მუნიციპალიტეტში გადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებიქუთაისის, ზესტაფონის, ვანისა და აბასთუმნის მიმართულებით. შიდა გზების სიგრძეა207 კმ.მუნიციპალიტეტში 27 საჯარო სკოლაა, 1 საშუალო პროფესიული სასწავლებელი, 23 ბიბლიოთეკა, 1 თეატრი და 1 მუზეუმი. ქალაქ ბაღდათში არის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის დაბლობზე, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელ, ქუთაისი-ბაღდათი-ბენარის საავტომობილო გზაზე. ბაღდათს ესაზღვრება რეგიონის ცენტრს და 5 მუნიციაპლიტეტს აქედან 4 მათგანთან დაკავშირებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია 225 კმ-ით, იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქი ქუთაისიდან 25 კმ-ით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით. უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთაგორიანია, ზღვის დონიდან 30-1609 მ-ზეა, ფართობი — 815 კვ.კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 82.22 კვ.კმ. ბაღდათის ტერიტორიის 67, 5% ტყით არის დაფარული. ჰავა ნოტიო და სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია როგორც სარკინიგზო, ასევე, საავტომობილო ტრანსპორტით.

ბაღდათის მიმზიდველი ადგილია დასასვენებებლად, სასტომროდ და სამუშაოდ, დივერსიფიცირებული მეწარმეობითა და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისებით, მეწარმეებისა და ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო ფაქტორებით.

5. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

- **შიდა ფაქტორები** - ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა, ქონების მართვის ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების გადამზადება და ფინანსური რესურსის გამოყოფა. დაინერგა ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა, ამასთან შეძენილი იქნა ტექნიკური საშუალებები,მუნიციპალიტეტმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა „სათეფას“ მიერ ორგანიზებულ სწავლება-ტრენინგებში. გადამზადებული კადრები წარმატებულად ახორციელებენს აქტივების მართვას და ინვენტარიზაციის პროცესს.
- **გარე ფაქტორები**-მუნიციპალიტეტი მიმზიდველ ადგილად ითვლება ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია არსებული სერვისების გაფართოება და სრულყოფილად ფუნქციონერება.
  ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულის შენობება-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბარის ზონაში რეგისტრირებულია 500 ჰა სახნავ-სათესი მიწა, ხოლო ალპურ ზონაში 4700 ჰა. საძოვარი, 9 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიბოლო წლებში ბიზნესის განვითარებისტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნაშენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე ხორციელდება არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებულის შენობება-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტს აქვს ქონებები რომელიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გაცემულია იჯარით.
  2021 წლიდან მუნიციპალიტეტებს კანონმდებლობით დაევალათ საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარისგების წარდგენა. შესამამისად აღრიცხვა-აანგარიშგების სიზუსტე გახდა მნიშნელოვანი ფაქტორი.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

- **გამოწვევა** - ბაღდათის მუნიციპალიტეტის (მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა) ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა აქტივების აღრიცხვა და მართვა. ბალანსზე რიცხული აქტივების სრუყოფილი ინვენტარიზაცია არ იყო ჩატარებულა წლების განმავლობაში, შესაბამისად არ იყო ჩამოწერილი გასული საუკუნის 60-80-იანი წლებიდან ბალანსზე რიცხული ინვენტარ-მოწყობილობები, რომელთა იდენტიფიცირება და წარმომავლობის დადგენაც შეუძლებელი იყო. აღნიშნულ ინვენტარ-მოწყობილობებში ძირითად იგულისხმება ის მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც ფაქტობრივად განთავსებული იყო ყოფილი საკრებულოების ე. წ. ადმინისტრაციულ შენობებში, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის გარეშე. მუნიციპალიტეტს სარგებლობით უფლებით ,,იჯარის ფორმით'' გაცემული აქვს მოძრავი და უძრავი ქონებები. რომელიც მუდმივად პრობლემატურ მხარეს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტისთვის, რადგან, ხშირია ,,მოიჯარის" მიერ საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევი შემთხვევა, ,,მეიჯარის" მიერ წერილობით გაფრთხილები მიუხედავდად, რომელშიც მიეთითებული იყო დარღვევის გამოსწორების ვადა და გადახდის პირობა, ასევე დაწესებულ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობა დამატებით ჯარიმის საფუძველი იყო. ამის მიუხედავად ვერ ხდებოდა ჯარიმა/ საურავების სრულად აღწერა და ამოღება, შესაბამისად მუნიციპალიტეტი კარგავდა შემოსავლებს.
- **წარსული გამოცდილება**-პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ყველა აქტივის პირველადი დოკუმენტაციის მოძიება და შემდგომ ამ აქტივის იდენტიფიცირება. შესაბამისად პრობლემის გამკლავება ძალიან რთული იყო და ყოველივე, მცდელობა ივენტარიზაციის ჩატარებისა სრულდებოდა უშედეგოდ (ვერ ხერხდებოდა საბალანსო ჩანაწერების ფაქტობრივ მონაცემებთან შედარება). სარგებლობის უფლებით გაცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წერილობითი გაფრთხილების მიუხედავდად, რომელშიც მითითებული იყო დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობაც განსაზღვრულია იჯარის ხელშეკრულებით. მოიჯარეების მხრიდან მუდმივად ხორციელდებოდა ვადაგადაცილებები მისი ყოველდღიური კონტროლი ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიღებული იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება და ორგანიზებით, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვისა მოწესრიგებისა და ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარების მიზნით დაინერგა ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა www.eproperty.ge.

  2019 წლიდან დაიწო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში (განკარგვაში) არსებული ყველა ძირითადი საშუალებების და მცირეფასიანი აქტივების ფაქტობრივი აღწერა და ერთიანი რეესტის შექმნა: ფოტო ფიქსაციით, ჯიპიეს დამისამართებით საინვენტარიზაციო შტრიხკოდით და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით.

  2023 წლიდან ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამას დაემატა სარგებლობა/გასხვისების ველი. პროგრამაში ისახება იჯარის ხელშეკრულებები, გადახდის ვადები და გრაფიკები. პროგრამა ავტომატურად აკონტროლდებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადახდის თარიღებს, ვადაგადაცილებებს და არიცხავს ჯარიმა/საურავებს, მოიჯარესთან გადახდის და საურავების დარიცხვის შესახებ აგზავნის შეხსენება/გაფრთხილებას. დღეის მდგომარეობით ბაღდათის მუნიციპალიტეტი სრულიად გამართულად მართავს ელექტრონული სისტემებით.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი;**

  „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანების სტანდარტებიდან გამომდინარე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვის მოწესრიგების და ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარების მიზნით დანერგა ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა www.eproperty.ge. სადაც მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ქონების 24 კატეგორიას, კერძოდ: არასაცხოვრებელი, მიწა, გზა, ხიდი, სასმელი წყლის სისტემა, სარწყავი წყლის სისტემა, სანიაღვრე სისტემები, გაზის მაგისტრალი, მოედანი, მოსაცდელი, სკვერი, გარე განათება, ღობე, სატრანსპორტო საშუალებები, ქუჩა, ნაპირსამაგრი, ურნები, სხვა ნაგებობები, სხვა მანქანა დანადგარებიდა მოწყობილობები, მცირეფასიანი აქტივები, კულტურული მცენარეები და ცხოველები, საცხოვრებელი, არამატერიალური და გასაყიდად გამზადებული აქტივები.

  თითოეული კატეგორიაში შეყვანილია დეტალური ინფორმაცია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, კატეგორიის შესაბამისი უძრავ-მოძრავი ქონების შესახებ,(მათ შორის: აქტივის დასახელება, მესაკუთრე, მისამართი, საკუთრებად აღიარების წელი, ცვეთის ნორმა, ბალანსის კოდი, საცნობარო კოდი, საბალანსო ღირებულება, აქტივის მდგომარეობა, ქონების კატეგორია, საკადასტრო კოდი, მიზნობრიობა ,მდგომარეობა, რაოდენობა, ფართობი, დოკუნტაცია, სურათი, საჯარო რეესტრი, GPS დამისამართება), ყველა კატეგორია მოიცავს სახვადასხვა ძირითადი მონაცემებს მაგ.მოძრავ აქტივებს (დანიშნულება, შტრიხკოდი, რიგითინომერი მითითებით). სატრანსპორტო საშუალებას ემატება ტრანსპორტისთვის მახასიათებელი ძირითადი მოთხოვნები (სახელმწიფო ნომერი,ტექ პასპორტი, ფერი,ვინ კოდი,ძრავის კოდი, შასის კოდი,გამოშვების წელი, ძრავის მოცულობა და ა.შ) რასაც მივყავართ აქტივის სრულ პასპორტიზაციამდე.

  ასაევე ყველა უძრავი აქტივი დატანილია ინტერაქტიულ რუქაზე და შესაძლებელია მოსახლეობისთვის წვდომა ონლაინ ,მათ შორის საპრივატიზებო აქტივებზე.

Property

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

Toyota Rav 4 მაღალი ბაზგანლობის;ხაკეშოების უფლებები | სატრანსპორტო საშუალებები

ID: 112344203
თარიღი: 02 სექ 2022
ცვლილი ღირებულება: 89638.32 ₾
ცვლა (%): 11.20

აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია: 13385.99 ₾
აკუმულირებული გადაფასებული ზარალი: 0.00 ₾
ნარჩენი ღირებულება: 76252.33 ₾

ბალანსური კოდი: 1-22-2120 | ეკონომიკა და ბიუჯეტი	მოსამართის კოდი: 05020000	| იმერეთი / ბაღდათის მუნიციპალიტეტი
კონსოლიდირებული მოსამართი: ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტერა	ღირებულება: 89638.32 ₾	
ფული: ბეჭი	გამოშვების წელი: 2022	
ოპერაციის თარიღი: 2022-08-31	ნაკეთრებად აღიარების წელი: 2022	
სასელოსნო ნომერი: 1818C1	VIN კოდი: JTMB43FV7N3027924	
რაოდენობა (ც): 1	მუნიციპალ: ნაშუალური სატრანსპორტო საშუალება Toyota Rav 4 რომლის სახელმწიფოებრივი ღირებულება წარმოადგენს 27 800ლარს.ამავდროულად რეგისტ ამ ფოტო.ორს.ავტომერ ოქმი. ბალანსზე ფიზიკურად მდებ. 02.03.2022 საკრებულის ეროვნული ბანკის ეკონომი ეკონომიის გაცვლის ოფიციალური კურსით.	

ისტორია

დასახელება	რეპარაცია	ღირებულება	თარიღი	ანგარიში
ნაშთი წლის დასაწყისში	სხვა	89638.32	31 აგვ 2022	
ცვეთა	სხვა	3346.50	31 დეკ 2022	
ცვეთა	სხვა	10029.49	31 დეკ 2023	

ხარჯები

დასახელება	ღირებულება	თარიღი
ელექტროტექნიკის, მოდელი-ზენსეფის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	349.50	11 ოქტ 2022
ელექტროტექნიკის, მოდელი-ზენსეფის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	1809.00	21 ნოე 2023
დაზღვევის ხარჯი	56.74	05 თებ 2024
დაზღვევის ხარჯი	175.88	05 მარ 2024
დაზღვევის ხარჯი	170.21	05 აპრ 2024
დაზღვევის ხარჯი	175.88	06 მაი 2024
ელექტროტექნიკის, მოდელი-ზენსეფის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	1200.00	21 მაი 2024

დასახელება	ღირებულება	თარიღი
დაზღვევის ხარჯი	170.21	18 ივლ 2024
დაზღვევის ხარჯი	175.88	06 აგვ 2024

დაკავშირებული ინანდირები

ID	ავტოდანა დასახელება	კატეგორია	სარგებლის ღირებულება	შენარჩუნება	ფასამოსაღები კოდი
მონაცემი ვერ მოიძებნა !					

მიმღები/ბრუნვის პირი

პირადობის ნომერი	მიმღებლობა/ბრუნვა	მიმღებლობის დასახელება
01001006273	ეკონომ ეროვნული	მმდელი

პასპორტში ასახულია აქტივის ყველა ისტორიული ცვლილება და მონაცემი რომელიც ხორციელდება, პერიოდულობის შესაბამისად .

პირველი ველი ისტორიის რედაქტირების ველია სადაც შეგვიძლია აქტივზე განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის ასახვა, ღირებულების გაზრდა აქტივის რეაბილიტაციის შემთხვევაში, გაუფასურება, გაყიდვა გადაცემა, ასევე მიღება როგორც გრანტით ასევე მიმდინარე პერიოდის შესყიდვით და სხვა შემოსავლებით, აქტივის მდგომარეობის, ცვეთის და ბალანსის კოდის ცვლილება .

მეორე ველი ხარჯები (აქტივზე განხორციელებული ყველა ტიპის ხარჯი როგორიცა კომუნალური, მოვლა შენახვა პატრონობის, დაზღვევის, დაცვის ხარჯი პერიოდულობის შესაბამისად).

მესამე ველი დაკავშირებული ჩანაწერი (ყველა სხვა აქტივი რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ აქტივთან).

მეოთხე ველი თანამდებობის პირი (პასუხისმგებელი აქტივის მოვლა პატრონობაზე).

ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა www.eproperty.ge-ს სარგებლობა/გასხვისების ველი დათმობილი აქვს მუნიციპალიტეტში სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების კატეგორიას.

პროგრამაში ხდება დარეგისტრირება არსებული/მიმდინარე ხელშეკრულებების, ივსება კონკრეტული მოიჯარის პერსონალური ინფორმაცია, ტელეფონის ნომრის და პირადი ელ ფოსტის მითითებით, ხელშეკრულებაში არსებული ყველა რეკვიზიტი, ასევე ხელშეკრულების დაწყება/დარულების, პირველი და ბოლო გადახდს თარიღი, გადახდის რიცხვი და თანხა, საურავის პროცენტი და პერიოდულობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამა ზუსტად ითვლის ხელშეკრულების თანახმად წარმოშობილ ვალდებულებებს, ადგენს გადახდის გეგმა-გრაფიკს, ითვლის ვადაგადაცილებულ დღეებს და საურავის თანხას. დარეგისტრირების დასრულების შემდეგ ხელშეკრულებას პროგრამულად მიენიჭებაა პერსონალური **ID**: კოდი, რომელიც აუცილებელია საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდთან ერთად გადახდის დანიშნულებაში იქნას მითითებული. პროგრამა ავტომატურად აგზავნის მოიჯარესთან გადახდის და საურავების დარიცხვის შესახებ შეხსენება/გაფრთხილებას შესაბამისად ,,მეიჯარე'' იღებს ვალდებულებას ,,მოიჯარეს'' გადახდის ვადის დადგომის და ვადაგადაცილების შესახებ აცნობოს წერილობით, მოიჯარის მიერ მითითებულ ელ-ფოსტასა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე. მეიჯარის მიერ გაგზავნილი ელექტრონული წერილის მიღების დღიდან შეტყობილებ აჩაითვლება ოფიციალურად და მეიჯარე თავისუფლდება დამატებითი კომუნიკაციის ვალდებულებისგან.



ბაღდათი

გადახდის ქვითარი #1156510046
გადახდის თარიღი: 28 ნოე 2023

გამგზავნი	
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	
საიდ კოდი:	[redacted]
ტელ #: 000000000000	

მიმღები	
მოსარგებელი: გია ვარდოსანიძე	
ბნ/ორგ:	[redacted]
ტელ #:	[redacted]

#	დანიშნულება		სახაზინო კოდი	თანხა
1	სარგებლობა ID: 716174652 *	ძირითადი თანხა	3047	165.00
2		ჯარიმის თანხა	3287	0.00
				ჯამი: 165.00

* შენიშვნა: გადახდისას აუცილებლად მიუთითეთ ID: 716174652

გადაუხდელობის შემთხვევაში დაგეკისრებათ პირგასამტეხლო გაფორმებული ხელშეკრულება #10 შესაბამისად



- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** ----------
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი**

  2023 წლის 14 დეკემბრის ბრძანება: **№66. 66233482** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ .
  საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმები.
  ინვენტარიზაციის შედეგების შემაჯამებელი აქტი.
  საიჯარო ხელშეკრულებების შეთანხმების ოქმი.
  იჯარის გადასახადის,შეტყობინების ოფიციალური დოკუმენტი(გადახდის ქვითარი)
  აქტივის პასპორტი.
  ინტერაქციული რუქა.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**

  პროექტი შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს ელექტონულად დაათვალიერონ მათ შორის საპრივატიზებო აქტივები.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

  ა) საკუთარი ადამიანური რესურსი, საინვენტარიზაციო კომისია : რომელიც შედგებოდა ათი წევრისა და სამი სამუშაო ჯგუფისაგან.
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი ბიუჯეტი.
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ციფრულიტექნიკა:(ფოტო აპარატი (ფოტოფიქსაციისა და GPS მონაცემებისათვის, შტიხკოდის საბეჭდი მანქანა და წამკითხავი აპარატი, ლეპტოპი)
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

  ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლინდა გასული საუკუნის 60-80-იანი წლებიდან ბალანსზე რიცხული ინვენტარ-მოწყობილობები, რომელთა იდენტიფიცირება და წარმომავლობის დადგენაც შეუძლებელი იყო. აღნიშნულ ინვენტარ-მოწყობილობებში ძირითად იგულისხმება ის მცირეფასიანი აქტივები, რომელთა იდენტიფიცირება ფაქტობრივად შეუძლებელი არ იყო განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები. შესაბამისად 2022 წლის 21 სექტემბრის №66.66222647 ბრძანებით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ შედეგების აქტის საფუძველზე მოახდინა ბუღალტრული ჩანაწერებიდან ამოღება.
  სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებების ხელშეკრულებების დარეგისტრირების და პროგრამუულად გამართვის პროცესში წარმოიქმნა რიგი პრობლემები, რომლებიც ხელისშემშლელი აღმოჩნდა იჯარების პროცესების სრულად ფუნქციონირებისათვის, მაგალითად: მრავალწლიანი ხელშეკრულების გადახდის ვადების რთულად კონტროლის გამო ვერ ხდებოდა პროგრამის მეშვეობით სწორად სტრირება და დარეგიიჯარის თანხის გადახდების ზუსტი დათვლა, გამომდინარე აქედან საჭირო გახდა, ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან თითოეული მოიჯარის მიერ გასულ წლებში გადახდილი თანხების იდენტიპიცირება. თუმცა ეს არ იყო საკარისი საბოლოო შედეგის მისარებად, რადგან ვერ ხდებოდა ვადაგადაცილებული დღეების სრული სიზუსტით დათვლა, რომ პროგრამას შეძლებოდა ზუსტი გეგმა-გრაფიკის შედგენა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინერე საჭირო გახდა ,,მოიჯარეების'' უმრავლესობასთან შეთანხმების ოქმების გაფრომება, არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და ახალი გეგმა-გრაფიხის განსაზღვრის მიზნით. ვერ ხდებოდა ოფიციალური დასვენების დღეების და არასამუშაო დღეების პერიოდში მოიჯარის მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საურავების ,,საპატიო დრეებში ასახვა'' და მოიჯარის საურავისაგან გათავისუფლება. ქონების მართვის ელ. პროგრამის დანერგვის შემდეგ ეს პრობლემაც გადაიჭრა და დღეის მდგომარეობით სრულად ხდება გაკონტროლება არსებული პრობლემის.
  ასევე მოიჯარეების მხრიდან შეცდომით ხორცელდებოდა გეგმიური თანხების გადახდდა არასწორ სახაზინო კოდებზე, შესაბამისად ვერ ხდებოდა იდენტიფიცირება მათ მიერ გადახდილი თანხების,
  რის გამოც დავალიანების დარიცხვის სფუძველი ხდებოდა მუნიციპალიტეტის მხრიდან.
  პროგრამის მიერ მინიჭებული პერსონალური ID: კოდის და ხაზინის ანგარიშის მითითები აღნიშნული პრობლემა პაქტიურად აღმოფხვრილია. პროგრამის მიერ მოიჯარისთვის ავტომატურად გაგაზავნილი ვადაგადაცილების შესახებ ელექტრონული წერილის მიღების დღიდან შეტყობინება ჩითვლება

ოფიციალურად, მეიჯარე თავისუფლდება დამატებითი კომუნიკაციის ვალდებულებისგან. რაც შესაბამისი სამსახაურის ფუნქციონირებას სრულყოფილს და მოქნილს ხდის.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის ორგანიზებით,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვის მოწესრიგებისა და ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დაინერგა ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა www.eproperty.ge.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

  პროექტის წარმატებულად ჩატარებისათვის მნიშვნელოვანია პროგრამაში ჩართულობა.საინვენტარიზაციო კომისიის შექმნა და გუნდური მუშაობა.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

დღეის მდგომარეობით ბაღდათის მუნიციპალიტეტი სრულიად გამართულად მართავს ელექტრონული სისტემებით www.eproperty.ge მფლობელობაში არსებული 11726 აქტივს და ახდენს მათ პასპორტიზაციას. განისაზღვრა ყველა მოძრავ აქტივზე პასუხიმგებელი პირი (მოვლა პატრონობის მიზნით),ახორციელებს აქტივის ცვლილებას. მოძრაობის შესაბამისად,განსაზღვრავს მათ სასარგებლო მომსახურების ვადებს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ წესის შესაბამისად. ახორციელებს ყოველწლიურად ინვენტარიზაციას ელექტონული ფორმით,საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანების საფუძველზე. ახორციელებს გაუფასურებული აქტივების გამოვლენას და შეფასებას სპეციალური აუდიტორის მიერ.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საკითხის გადაჭრის კვალიფიციური გადაწყვეტილება; პრობლემის შესწავლა, ბალანსზე რიცხული და განკარგვაში არსებული ერთიანი სრულყოფილი ბაზის შექმნა. ქონების მართვის ელ. პროგრამის www.eproperty.ge დანერგვა. ასევე შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია რომელიც უზრუნველყოფს ფაქტიურ აღწერას და შედარებას საარიცხვო მონაცემებთან ,გამოვლენილ შედეგების და შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია რამოდენიმე კადრის გადამზადება რომელასაც ექნებათ სისტემაზე სრული დაშვების უფლება. მნიშვნელოვანია სინქრონულად ითანამშრომლოს ქონების, ლოჯისტიკის,ინფრასტრუქტურის და საფინანსო განყოფილებებთან, ასევე მერისს წარმომადგენლებთან, მიიღოს და გასცეს სრუილი ინფორმაცია აქტივის რეგისტრაციისათვის მისი მიღების ოპერაციის შესაბამისად. ასევე განისაზღვროს პასუხიმგებელი პირები,რომლებიც უზრუნველყოფენ აქტივის მოვლა შენახვის საკითხს, იმ შემთხვევაში თუ მათზე განპირობებული აქტივი დაზიანდა ან ცვლილება განიცადა მოხსენებითი ბარათის საშვალებით მიმართოს შესაბამის განყოფილებას შემდგომი რეაგირებისათვის, ასევე აქტივის ისტორიის ველში მოახდინოს აქტივზე განხორციელებული შესყიდვის ან გასვლის პროცესები,ხაჯის ნაწილში დაამატოს აქტივზე გაწეული ყველა დანახარჯი, ჩამოწეროს და მოხსნას ბალანსიდან გაუფასურებული აქტივები,ასევე პრივატიზების შემთხვაევაში გასაყიდად გამზადებული აქტივებიდან მოხსნა აქტივი ,რომელსაც დაარიცხავს იმ დროისთვის განსაზღვრულ ცვეთას და მოახდენს მის გასვლას გაყიდვის ველიდან,

მნიშვნელოვანია შტრიხკოდის საბეჭდი აპარატის და წამკითხავის შესყიდვა, რადგან რეგისტრაციის დროს მოვახდინოთ უნიკალური შტრიხკოდის დაბეჭდვა და აქტივის ეტიკეტირება .ხოლო ინვენტარიზაციის პროცესისთვის გამოიყენოს შტრიხკოდის წამკითხავი. ყოველივე ეს მოგცემთ საშუალებას სრულად და გამართულად მართოთ საკუთრებაში არსებული აქტივები

2023 წლიდან ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამაში სარგებლობა/გასხვისების ველის გამართვის დღიდან მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სამსახურის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად ეფექტური და სრულყოფილი გახდა. აღნიშნული პროგრამის დახმარებით სარგებლობით გაცემული ქონებების კონტროლი ხორციელდება ყოველთვიურად შეფერხების გარეშე, რაც მნიშვნელოვანი წინსვლაა მუნიციპალიტეტისთვის და კონკრეტულად ქონების მართვის სამსახურის თანმშრომლებისთვის, რადგან წინა წლებში ხელით დათვლის პრინციპით ხორციელდებოდა აღნიშნული პროცესი, რაც რათქმაუნდა ბევრ პრობლემას და ცდომილებას იძლეოდა. მუნიციპალიტეტისთვის შეიძლება თამამდ ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად და მაგალითად არნიშნული პროგრამის სრულად გამართვა და

ფუნქციონირება შესაბამისად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია 2022 წლიდან სრულად ჩართულია ქონების მართვის ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემში ww.eproperty.ge პროგრამაში რაც სრულიად გამართულს ხდის სარგებლობით გაცემული ქონებების მართვას და ინვენტარიზაციის პროცესს.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა,კოორდინაცია სამსახურებს შორის. კვალიფიციური კადრები, შედეგზე ორიენტირებულობა.
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ**
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;-----
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება; ----------
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;----------
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში; ----------

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;** საკრებულოს სხდომებზე და კომისიებზე,აქტიურად განიხილებოდა ინვენტარიზაციის ჩატარება და აქტივების მართვის სრულყოფა და საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭირა აღნიშნული ინიციატივის დაგეგმვას და განხორციელებას.
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;----------**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;----------**

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ქონების მართვის ავტომატიზირებულ ელექტრონული სისტემში ww.eproperty.ge აქტიური მუშაობა. განიხილება ყოველწლიურად სრულყოფილი ინვენტარიზაციის ჩატარება და ასევე მოსახლეობისთვის ონლაინ წვდომა აქტივებზე მათ შორის საპრივატიზებო აქტივებზე რომლებიც დატანილია ინტერაქტიულ რუქაზე .

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:**
  ესმა დევდარიანი საფინასნო-საბიუჯეტო განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
  ტელ: 595029529 ელ ფოსტა: Esma.devdariani1985@gmail.com
  თამარი ბარბაქაძე ეკონომიკის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. ტელ: 599156995, ელ ფოსტა: Tamo.barbaqadze@gmail.com.
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**:
  ქეთევან კარკაძე ეკონომიკის სამსახურის უფროსი
  ტელ:598923406, ელ ფოსტა karkadzeketi@yahoo.com
  ლერი გუმბერიძე საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი.
  ტელ:591221525 ელ.ფოსტა: **lerigumberidze1970@gmail.com**

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;
ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;
გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.